



## სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება

მატჩი	ქუთაისის „არესი“ - ოზურგეთის „არწივები“		
გუნდი	ოზურგეთის „არწივები“	შეჯიბრი	ჭაბუკთა „ბ“ ლიგა
მატჩის თარიღი	12/05/2022	მატჩის ადგილი	ქუთაისი
რეგულაცია	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციები.		

დარღვევის აღწერა			
მოთამაშე/პიროვნება	ოზურგეთის „არწივები“-ს მწვრთნელი	დაზადების თარიღი	
სახელი, გვარი	კახაბერ მაჩიტაძე		
მომჩივანი	მატჩის მთავარი მსაჯი დავით ბალუაშვილი	საჩივარი	✓ მიღებულია უარყოფილია
დარღვევა	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 5.5 და 5.12 პუნქტები.	წითელი ბარათი                      •                      საითინგი                      სხვა თუ „სხვა“ აღწერეთ :	

განხილვის დეტალები			
განხილვის თარიღი	24/05/2022	განხილვის ადგილი	სრკ-ს ოფისი, თბილისი, ჭ.ამირეჯიბის #6
თავმჯდომარე	მირიან თავზარაშვილი		
სადისციპლინო კომისიის წევრები	ირაკლი ჩიქავა, ვახტანგ სამხარაძე;		
დამრღვევის დასწრება	✓ კი(დისტანციური)	სხვა დამსწრეები : კი                      ✓ არა	
დამრღვევის წარმომადგენელი	ოზრ. „არწივების მენეჯერი გელა გობრონიძე	აღნიშნუთ ვინ	
განხილვამდე დამრღვევისთვის მიწოდებული დოკუმენტები/მასალები	მატჩის მთავარი მსაჯის დავით ბალუაშვილის საითინგი 13/05/2022.		



**დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დამხმარე მასალები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).**

1. მატჩის მთავარი მსაჯის დავით ბალუაშვილის საითინგი 13/05/2022.

### **დამრღვევის/წარმომადგენლის განცხადება**

1. სატელეფონო საუბრისას კახაბერ მაჩიტაძე დაეთანხმა მატჩის მსაჯის დავით ბალუაშვილის საითინგში (13/05/2022) აღნიშნული დისციპლინარული დარღვევების ფაქტებს მის მიერ და გამოთქვა წუხილი მომხდარის შესახებ.

### **ფაქტობრივი მოცემულობა**

1. 2022 წლის 12 მაისს ქუთაისში გაიმართა საქართველოს ჭაბუკთა „ბ“ ლიგის ჩემპიონატის მატჩი ქუთაისის „არესი“-სა ოზურგეთის „არწივები“-ს შორის.
2. 2022 წლის 13 მაისს სრკ-ს სადისციპლინო სამსახურს წერილობით (საითინგი) მომართა აღნიშნული მატჩის მთავარმა მსაჯმა დავით ბალუაშვილმა. საითინგში აღნიშნულია (ციტირება) : თამაშის 50-ე წუთზე მატჩის მეთვალყურემ, მალხაზ ჩხეტიანმა, შემაჩერებინა თამაში იმის გამო რომ, ოზურგეთის „არწივები“-ს მწვრთნელი კახაბერ მაჩიტაძე აპელირებდა (მსაჯის გადაწყვეტილებებზე), მივედი მათთან და მოვუწოდე სიმშვიდისაკენ, რაზეც მან(კახაბერ მაჩიტაძემ) განაგრძო აპელირება და დამემუქრა „ თუ თამაშს წავაგებ ცოცხალი ვერ გამოხვალ მოედნიდან“. მუქარის გამო მას ვუჩვენე წითელი ბარათი.
3. ოზურგეთის „არწივები“-ს მწვრთნელი კახაბერ მაჩიტაძე, სრკ-ს სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილებით (15/12/2021), დისკვალიფიცირებული იყო 2021-2022 სათამაშო სეზონის ბოლომდე და მას აკრძალული ჰქონდა დისკვალიფიკაციის პერიოდში ყოველგვარი აქტივობა სათამაშო არეალში სრკ-ს მიერ ორგანიზებულ შეჯიბრებებში ნებისმიერ დონეზე, ხოლო კლუბი ოზურგეთის „არწივები“ დაჯარიმდა 1000(ათასი) ლარით.



გადაწყვეტილება			
დარღვევის სტატუსი:	✓ მიღებულია	უარყოფილია	სხვა (აღწერეთ)

სადისციპლინო კომისიამ შეაფასა მატჩის მსაჯის დ. ბალუაშვილი საითინგში (13/05/2022) აღნიშნული დისციპლინარული დარღვევების ფაქტები, მხეველობაში მიიღო კლუბ ოზურგეთის „არწივები“-სა და მისი მწვრთნელის კახაბერ მაჩიტაძის მხრიდან სრკ-ს სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილების (15/12/2021) პირობების დარღვევის ფაქტი და მიიღო

გადაწყვეტილება

1. ოზურგეთის „არწივები“-ს მწვრთნელი კახაბერ მაჩიტაძე დისკვალიფიცირებული იქნას 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. კახაბერ მაჩიტაძეს, დისკვალიფიკაციის პერიოდში, აკრძალოს ყოველგვარი აქტივობა სათამაშო არეალში სრკ-ს მიერ ორგანიზებულ შეჯიბრებებში ნებისმიერ დონეზე.
2. კლუბი ოზურგეთის „არწივები“ დაჯარიმდეს 2000(ორი ათასი) ლარით და საჯარიმო თანხის გადახდის ვადა განისაზღვროს 2022 წლის 26 ივნისამდე.
3. კლუბის მიერ საჯარიმო თანხის განსაზღვრულ ვადაში არ გადახდის შემთხვევაში ოზურგეთის „არწივები“-ს მიმართ ამოქმედდეს სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის 14.4 პუნქტი.

თავმჯდომარე ხელმოწერა	მირიან თავზარაშვილი 	თარიღი	26/05/2022
--------------------------	-------------------------	--------	------------

- გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო საბჭოში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში.